ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ძირითადი მიგნებები

9 ოქტომბერი - 19 ნოემბერი

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან მედიამონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

თბილისი, 2017

სატელევიზიო არხების მონიტორინგი

- წინა პერიოდის მსგავსად ყველაზე მეტი დრო ისევ საქართველოს მთავრობას და ადგილობრივ ხელისუფლებას დაეთმო.
- ამ პერიოდშიც შეიმჩნეოდა ანალიტიკური, სიღრმისეული სიუჟეტების ნაკლებობა. ამ მხრივ პასიურობით გამოირჩეოდა რეგიონული არხების უმრავლესობა.
- თითქმის ყველა არხმა გამორჩეული ყურადღება დაუთმო კენჭისყრის დღის გაშუქებას. განსაკუთრებით აქტიურობდნენ თბილისში ბაზირებული არხები. არჩევნების დღეს არხების ნაწილს სპეციალური გამოშვებები და პირდაპირი ჩართვები ჰქონდა.
- მკვეთრად ნაკლები იყო ინტერესი მეორე ტურის კენჭისყრის დღის გაშუქების მიმართ. რეგიონულმა არხებმა (გარდა იმ რეგიონებისა სადაც მეორე ტური იყო) მეორე ტურს ნაკლები ყურადღება დაუთმეს.
- წინა პერიოდის მსგავსად არხების უმრავლესობა ძირითადად დაბალანსებულად აშუქებდა ახალ ამბებს, თუმცა კვლავ შენარჩუნდა ზოგიერთი არხის მხრიდან კონკრეტული პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებული გაშუქების ტენდეცია.
- თითქმის არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენის ტირაჟირების შემთხვევები.
- ზოგიერთ არხზე ისევ შეიმჩნეოდა საინფორმაციო გამოშვებების პერიოდულობის დაცვის პრობლემა.
- რეგიონული არხების ნაწილზე კვლავ პრობლემად დარჩა ტექნიკური ხარვეზები.

- მაუწყებლები ძირითად აქცენტს აკეთებდნენ არჩევნების პირველ ტურზე. მისი დასრულების შემდეგ აფასებდნენ არჩევნების შედეგებს, მეორე ტურს და მასში მონაწილე კანდიდატებს ტოქშოუების ყურადღება თითქმის არ დათმობია.
- მეორე ტურში მონაწილე კანდიდატებს შორის დისკუსია არ გამართულა არც იმ რეგიონულ არხზე, სადაც მეორე ტურის კანდიდატებს შორის დიდი კონკურენცია იყო, მაგალითად, ოზურგეთში. გურია ტვ-ს ტოქშოუ პირველიდან მეორე ტურამდე მხოლოდ ერთხელ გავიდა ეთერში და მაშინაც საკრებულოს წევრები სტუმრობდნენ.
- ერთადერთი არხი, რომელმაც მეორე ტურს დიდი დრო დაუთმო საკუთარ ტოქშოუებში იყო ობიექტივი, რომელიც „პატრიოტთა ალიანსის“ პლატფორმაა. სწორედ ამ პარტიის წარმომადგენელი გავიდა მეორე ტურში ბორჯომში და შესაბამისად ამით იყო გამოწვეული „ობიექტივის” ინტერესიც. ამ პარტიის 44 წარმომადგენელი სტუმრობდა გადაცემას, მაშინ, როდესაც სხვა პარტიის მხოლოდ 8 წარმომადგენელი მონაწილეობდა. აქედან 3 ტელეფონის საშუალებით ჩაერთო, სტუდიაში არ ყოფილა მიწვეული. ამასთან გადაცემა გამოყენებული იყო „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ორგანიზებულ აქციებში მონაწილეობისთვის ხალხის მობილიზებისთვის.
- ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში თბილისის მერობის კანდიდატებიდან მიწვეული არ ყოფილა „შენების მოძრაობის“ კანდიდატი.
- ტელეკომპანია „იმედმა“ თბილისის მერობის კანდიდატების დებატებში მონაწილეობის მისაღებად არ მიიწვია „შენების მოძრაობის“ და „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატები. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ ლეიბორისტული პარტიის კანდიდატი „ტელეიმედის“ მიმართ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო არ დაპატიჟეს. თუმცა, ჟურნალისტები ხშირად ხდებიან პოლიტიკოსების კრიტიკის ობიექტები და ეს არ უნდა ახდენდეს გავლენას რესპონდენტების შერჩევის პროცესზე, მით უმეტეს წინასაარჩევნო პერიოდში.
- სამ არხზე, რომელიც მთელ საქართველოს ფარავს - „რუსთავი 2-ზე“, „იმედსა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელზე თბილისის მერობის კანდიდატებს ერთი და იმავეს გამეორება მოუწიათ, რადგან კრიტიკული, არგუმენტირებული, ანდა კანდიდატების საარჩევნო პროგრამებზე დაფუძნებული კითხვები წამყვანებისგან პრაქტიკულად არ

დასმულა. ისინი სხვადასხვა თემაზე სთხოვდნენ კანდიდატებს ხედვების წარდგენას, რაც მანამდე უკვე არაერთხელ ჰქონდათ გამეორებული როგორც გადაცემებში, ასევე სარეკლამო რგოლებში.

- ისე დასრულდა წინასაარჩევნო კამპანია, რომ თემატური დისკუსია, კანდიდატების პროგრამების ანალიზი ტოქშოუებიდან აუდიტორიას არ მოუსმენია. შესაბამისად, გაურკვეველი დარჩა რომელი საარჩევნო სუბიექტების დაპირება იყო რელევანტური და რამდენად მოაგვარებდა ის არსებულ პრობლემებს.
- წამყვანების ზედაპირული კითხვები, მოუმზადებლობა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო როდესაც თემის მცოდნე, კარგად მომზადებულ რესპონდენტებს ანდა გამოცდილ პოლიტიკოსებს მასპინძლობდნენ.
- ტელეკომპანია „გურჯაანი“ და „ოდიში“ გამონაკლისია, რომლებმაც ტოქშოუ მყარი პერიოდულობით ვერ შესთავაზეს მაყურებელს. „გურჯაანმა“ მხოლოდ ერთხელ, „ოდიშმა“ კი 2-ჯერ შესთავაზა ტოქშოუ კანდიდატების მონაწილეობით. თუმცა, აქაც მხოლოდ მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა წამყვანი და ტრიბუნა იყო კანდიდატებისთვის.
- ზოგჯერ გადაცემაში პოლიტიკური პარტიის კანდიდატები მოწვეულნი იყვნენ როგორც საზოგადოების წარმომადგენლები - მუსიკოსი, ჟურნალისტი ა.შ. ისე, რომ ამის შესახებ აუდიტორიას არ ჰქონდა ინფორმაცია. განსაკუთრებით „გირჩის“ წევრები სტუმრობდნენ გადაცემებს მაშინ, როდესაც სხვა პოლიტიკური პარტიები წარმოდგენილნი არ ყოფილან და ისინი ექსპერტის რანგში გამოთქვამდნენ მოსაზრებებს.
- სიძულვილის ენის გამოყენება კვლავაც ხშირად ხდება „ობიექტივის“ ეთერში, სადაც ისმის ჰომოფობიური, ქსენოფობიური გამონათქვამები, გენდერული სტერეოტიპები. არხზე ასევე ისმოდა შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია როგორც რესპონდენტების, ასევე წამყვანის მხრიდან სამი პარტიის მისამართით - „ქართული ოცნებას“ უწოდებდნენ “მუტანტებს”, „ევროპულ საქართველოს“ - “ბოკერიებს”, ნაციონალურ მოძრაობას კი - “ჩხრიალა გველებს”.
- რიგმა რეგიონულმა არხებმა წინასაარჩევნო პერიოდში დაწყებული გადაცემები პირველი ტურის დასრულების შემდეგ შეწყვიტეს. ნაწილი კი არასტაბილურად გადიოდა ეთერში.
- რეგიონულ მაუწყებლებს მნიშვნელოვანი ტექნიკური პრობლემები ჰქონდათ ამ სამონიტორინგო პერიოდშიც, რაც უკავშირდება ხმას, ვიზუალურ მხარეს, გადაცემის შეფუთვას. ყველა ეს პრობლემა შინაარსობრივ ხარვეზებთან ერთად აუდიტორიისთვის ნაკლებად მიმზიდველს ხდიდა გადაცემას.

რადიოების მონიტორინგი

- ყველაზე მეტი დრო მთავრობას და ადგილობრივ ხელისუფლებას დაეთმოთ, პარტიებიდან კი - „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“;
- არჩევნების დღეს ვრცელი და ანალიტიკური გამოშვება მხოლოდ რამდენიმე რადიომაუწყებელმა მოამზადა;
- რადიომაუწყებლების უმეტესობამ არჩევნების დღეს მიმდინარე მოვლენები ისევ ზედაპირულად გააშუქა, როგორც მთლიანად წინასაარჩევნო კამპანია;
- არჩევნების მეორე ტურის გაშუქებას რადიომაუწყებლების უმეტესობამ დრო ფაქტიურად არ დაუთმო; ვინც გააშუქა, აქცენტს ოზურგეთზე აკეთებდა, სადაც სახელისუფლებო კანდიდატს დამოუკიდებელი კანდიდატი უპირისპირდებოდა;
- არჩევნების დასრულების შემდეგ რადიომაუწყებლების მუშაობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნებოდა და უმეტესად იგივე ტენდენციები დაფიქსირდა, რაც არჩევნებამდე პერიოდში;

ონლაინ მედიის მონიტორინგი

- ონლაინ გამოცემების დიდმა უმრავლესობამ აქტიურად გააშუქა როგორც არჩევნების პროცესი, ასევე ხმების დათვლისა და შედეგების გამოცხადების პროცედურები;
- არჩევნების დღეს ონლაინ გამოცემებში არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე სუბიექტის მიმართ;
- რეგიონული გამოცემები, ხშირ შემთხვევებში, მეტ ყურადღებას მათ რეგიონში მიმდინარე საარჩევნო პროცესებს უთმობდნენ;
- თბილისის მერობის კანდიდატებს შორის, სახელისუფლებო კანდიდატის, კახა კალაძის, გაშუქებისას დადებითი ტონის მაჩვენებლები ჭარბობდა ვებგვერდებზე ipn.ge, medianews.ge და for.ge;
- თბილისის მერობის სხვა კანდიდატთა გაშუქებისას დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები არ გამოვლენილა;
- არჩევნების პროცესის გაშუქებისას ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა;
- ქართული ონლაინ მედიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას კვლავ წარმოადგენს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან.

პრესის მონიტორინგი

- რეგიონული გამოცემები, უმეტეს შემთხვევებში, მეტ ყურადღებას მათ რეგიონში მიმდინარე საარჩევნო პროცესებს უთმობდნენ;
- რეგიონული გამოცემების უმრავლესობამ ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქა არჩევნების პროცესი;
- მმართველი გუნდის კანდიდატის მიმართ უარყოფითი განწყობა შეინიშნებოდა „გურიის მოამბეში“;
- გაზეთში „ბორჯომი“ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი განწყობა სახელისუფლებო კანდიდატის, ხოლო არჩევნების მეორე ტურში ბლოკის „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო“ კანდიდატის გაშუქებისას;
- „ასავალ-დასავალში“ შეინიშნებოდა უკიდურესად უარყოფითი განწყობა თბილისის მერობის ყველა კანდიდატის მიმართ, კახა კალაძის, კახა კუკავასა და ირმა ინაშვილის გარდა;
- „ასავალ-დასავალის“ გარდა მონიტორინგისთვის შერჩეულ არც ერთ გამოცემაში არ გამოვლენილა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევის შემთხვევები არჩევნების გაშუქებისას.